სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2026 წლის 05 ივნისის N02-03/21 ბრძანების

დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს სტრუქტურული ერთეულის მედია წარმოებისა და გავრცელების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი“) სტრუქტურული ერთეულის - მედია წარმოებისა და გავრცელების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, ფუნქციებს, მართვის წესს, სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიებს და სამუშაო პოზიციებზე დასაქმებული პირების სამსახურებრივ მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს.
1.2.სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებლის ქცევის კოდექსით, მაუწყებლის დებულებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებითა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.
1.3.სამსახურის ძირითადი მიზანია მაუწყებლის სატელევიზიო, რადიო და ციფრული (ონლაინ) პროდუქციის მაღალტექნოლოგიური წარმოება, სამაუწყებლო ბადის შემუშავება და პროგრამირება, კონტენტის მიღება-ჩაბარება და მისი უწყვეტი, შეუფერხებელი გავრცელება.

მუხლი 2. სამსახურის შიდა სტრუქტურა და მართვის ვერტიკალი

2.1.სამსახურის ხელმძღვანელობა: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე - მთავარი რეჟისორი, მოადგილე განვითარების საკითხებში, მოადგილე მიმდინარე მაუწყებლობის საკითხებში.
2.2.სამსახური, ფუნქციური მიმართულებების მიხედვით იყოფა შემდეგ ქვედანაყოფებად (ბლოკებად და ჯგუფებად):

2.2.1. სატელევიზიო ბლოკი, რომლის შემადგენლობაში შედის:
ა) სატელევიზიო წარმოების ჯგუფი;
ბ) სატელევიზიო პროგრამირებისა და განვითარების ჯგუფი;
გ) პირდაპირი ეთერისა და მთავარი სააპარატოს ჯგუფი.

2.2.2.რადიო ბლოკი, რომლის შემადგენლობაში შედის:
ა)რადიო წარმოების ჯგუფი;
ბ)რადიო პროგრამირებისა და ეთერის მართვის ჯგუფი.

2.2.3. ციფრული პლატფორმებისა და ახალი მედიის ბლოკი, რომლის შემადგენლობაში შედის:
ა) სოციალური მედიის ჯგუფი.
2.3. სამსახურის შემადგენლობაში ასევე ფუნქციონირებს შემდეგი სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფები:

ა)სტუდიებისა და მსს (მოძრავი სატელევიზიო სადგური) ჯგუფი;
ბ)აუდიტორიის განვითარებისა და კომუნიკაციის ჯგუფი;
გ)არქივის ჯგუფი;
დ)დოკუმენტური ფილმების სტუდია.

მუხლი 3. ინტერესთა კონფლიქტი, წარმოება და გადაცემების მიღება-ჩაბარების რეგულირება

3.1.ვინაიდან, სამსახური ახორციელებს საეთერო პროდუქციის წარმოებას, გარე და შიდა გადაცემების მიღება-ჩაბარებას, ფინანსური და მატერიალური რესურსების განაწილებას, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად დგინდება შემდეგი იმპერატიული წესები:
ა)ნებისმიერი მედიაპროდუქტის - იქნება ეს გადაცემა, ფილმი, სიუჟეტი თუ სხვა კონტენტი სატელევიზიო, რადიო და ვებ-პლატფორმებისთვის - მიღება-ჩაბარება ხდება კოლეგიალურად, სპეციალური კომისიის ან სამუშაო ჯგუფის მიერ. ეს პროცესი ეფუძნება ექსკლუზიურად წინასწარ გაწერილ ტექნიკურ და შინაარსობრივ კრიტერიუმებს.
ბ) ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომელი, ვალდებულია წერილობით განაცხადოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მისაღები მედიაპროდუქტის შემოქმედებით გუნდში, პარტნიორ ან კონტრაქტორ კომპანიაში ფიგურირებს თანამშრომლის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან პირი, რომელთანაც მას ფინანსური ან ქონებრივი ინტერესი აკავშირებს. აღნიშნულ შემთხვევაში, თანამშრომელი სრულად ჩამოსცილდება მოცემული პროდუქტის წარმოების, შეფასების, ბიუჯეტირებისა და ჩაბარების პროცესს.
გ) **თანამშრომლებს არ აქვთ უფლება** სოციალურ ქსელში პირადი პროფილები (მათ შორის: Facebook, Instagram, TikTok და სხვა) გამოიყენონ კომერციული კომპანიების, ბრენდებისა თუ პროდუქტების პირდაპირი ან ირიბი რეკლამირებისთვის (პრომოუშენისთვის).
დ) სამსახურის თანამშრომლებს, არ აქვთ უფლება, პირდაპირ ან მესამე პირთა მეშვეობით მიიღონ რაიმე სახის ფინანსური, მატერიალური ან სხვაგვარი სარგებელი, მომსახურება, საჩუქარი ან უპირატესობა იმ გარე სტუდიებისა და პროდიუსერებისგან, რომლებიც მაუწყებლისთვის აწარმოებენ კონტენტს ან მონაწილეობენ შესყიდვების პროცესში.
ე) სამსახურის თანამშრომლებს (მიუხედავად მათი შრომითი პოზიციისა) არ აქვთ უფლება ნებისმიერი ფორმით დასაქმდნენ, გააფორმონ შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება ან გაწიონ ანაზღაურებადი თუ უსასყიდლო კონსულტაცია იმ გარე სტუდიებსა და საპროდიუსერო კომპანიებში, რომლებიც ამზადებენ ან პოტენციურად შესაძლოა მოამზადონ მედიაპროდუქტი მაუწყებლისთვის.
ვ) საეთერო პროდუქციის წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სტუდიები, აპარატურა, სატრანსპორტო საშუალებები) განაწილების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე. თანამშრომლებს არ აქვთ უფლება გამოიყენონ მაუწყებლის შიდა რესურსები პირადი, კომერციული ან არასამსახურებრივი მიზნებისთვის, აგრეთვე - გარე პროექტების სასარგებლოდ სათანადო სამართლებრივი საფუძვლის (მაუწყებელთან გაფორმებული ხელშეკრულების) გარეშე.
ზ) რესურსების განაწილებისა და კონტენტის მიღება-ჩაბარების პროცესში ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება არ არის ნებადართული. ყველა ძირითადი გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ოქმით, სადაც

ფიქსირდება კომისიის თითოეული წევრის პოზიცია და ხმის მიცემის შედეგები, რაც უზრუნველყოფს პროცესის შემდგომ აუდიტსა და გამჭვირვალობას.
თ) ამ მუხლით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობითა და მაუწყებლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 4. შრომითი პოზიციების უფლებამოსილებები და სამსახურებრივი მოვალეობები

4.1. სამსახურის უფროსი ვალდებულია:
ა) სრულად წარმართოს და კოორდინაცია გაუწიოს სამსახურის სტრატეგიულ, საწარმოო, შემოქმედებით და ადმინისტრაციულ საქმიანობას;
ბ) უზრუნველყოს სამაუწყებლო ბადის გამართული, უწყვეტი ფუნქციონირება, საეთერო გეგმის დროული შესრულება და ფორსმაჟორული სიტუაციების ოპერატიული მართვა;
გ) ზედამხედველობა გაუწიოს წარმოებული მედიაპროდუქტის შემოქმედებით და ტექნიკურ ხარისხს, მის შესაბამისობას მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან;
დ) უზრუნველყოს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაცვა, მათი ეფექტური, მიზნობრივი გამოყენება და განახლების პროცესის ინიცირება;
ე) მართოს შემოქმედებითი და ტექნიკური გუნდები, გაანაწილოს ფუნქციები და უზრუნველყოს სამუშაო პროცესის სწორი ორგანიზება.

4.1.1.სამსახურის უფროსი უფლებამოსილია:
ა) მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები საწარმოო, ფინანსური და ლოგისტიკური რესურსების ოპტიმალურ და რაციონალურ განაწილებასთან დაკავშირებით;
ბ) აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს საოპერაციო ცვლილებები წარმოების პროცესში, კონტენტის ხარისხის გასაუმჯობესებლად ან ვადების დასაცავად;
გ) წარადგინოს დასაბუთებული შუამდგომლობები დირექტორის წინაშე თანამშრომელთა დაწინაურების, ფინანსური წახალისებისა თუ პრემიების გაცემის თაობაზე;
დ) მოითხოვოს თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სახდელის ან პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება შინაგანაწესის ან სხვა შიდასამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში.

4.2. სამსახურის უფროსის მოადგილე - მთავარი რეჟისორი ვალდებულია:
ა) მხარი დაუჭიროს სამსახურის უფროსს მიმდინარე საოპერაციო, შემოქმედებითი და საწარმოო პროცესების ოპერატიულ მართვაში;
ბ) უზრუნველყოს სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს (ბლოკებსა და ჯგუფებს) შორის კოორდინაცია და შეუფერხებელი შიდა კომუნიკაციის წარმართვა;
გ) გააკონტროლოს საეთერო მედიაპროდუქტის შემოქმედებით-სარეჟისორო ხარისხი და ზედამხედველობა გაუწიოს არხის ერთიანი ვიზუალური და შემოქმედებითი კონცეფციის დაცვას;

დ) განახორციელოს საწარმოო პროცესში რეჟისორთა, ასისტენტთა და სხვა შემოქმედებითი პერსონალის მუშაობის მონიტორინგი და წარმართოს მათი პროფესიული საქმიანობა;
ე) სამსახურის უფროსის არყოფნის (მივლინება, შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა) პერიოდში სრულად შეასრულოს მისი მოვალეობები და განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები.

4.2.1.სამსახურის უფროსის მოადგილე - მთავრი რეჟისორი უფლებამოსილია:
ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს სამუშაო და შემოქმედებითი მითითებები სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და პერსონალის მიმართ;
ბ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებული საწარმოო გეგმისა და სამაუწყებლო ბადის ფარგლებში დაამტკიცოს შემოქმედებითი ჯგუფების სამუშაო გრაფიკები და ცვლები;
გ) მედიაპროდუქციის წარმოების პროცესში მიიღოს გადაწყვეტილებები სარეჟისორო და ტექნიკური რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და ოპერატიული გადაადგილების თაობაზე;
დ) სამსახურის უფროსის წინაშე წარადგინოს წინადადებები და შუამდგომლობები შემოქმედებითი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ე) მიიღოს მონაწილეობა სამსახურის სტრატეგიული გეგმების, ბიუჯეტისა და ახალი მედიაპროექტების შემუშავების პროცესში.

4.3. სამსახურის უფროსის მოადგილე განვითარების საკითხებში ვალდებულია:
ა) შეიმუშაოს მაუწყებლის ტექნოლოგიური, შემოქმედებითი და სტრატეგიულ-კონცეპტუალური განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები და გაუწიოს ზედამხედველობა მათ იმპლემენტაციას;
ბ) მაუწყებლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უშუალოდ უხელმძღვანელოს და კურირება გაუწიოს სამაუწყებლო ბადის (სატელევიზიო და რადიო) შედგენის, დაგეგმვისა და მუდმივი ოპტიმიზაციის პროცესს;
გ) შექმნას ახალი სამაუწყებლო პროექტების, მულტიმედიური ფორმატებისა და ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებების კონცეფციები სატელევიზიო, რადიო და ვებ-პლატფორმებისთვის;
დ) კურირება გაუწიოს და გააკონტროლოს ნებისმიერი მედიაპროდუქტის (გადაცემა, ფილმი, სიუჟეტი და სხვა) მიღება-ჩაბარების პროცესი წინასწარ გაწერილი ტექნიკური და შინაარსობრივი კრიტერიუმების შესაბამისად;
ე) გააანალიზოს მედიაბაზრის თანამედროვე ტენდენციები, აუდიტორიის მოთხოვნები და რეიტინგები, სამაუწყებლო ბადეში ახალი ფორმატების ეფექტურად ინტეგრირების მიზნით;
ვ) მკაცრად გააკონტროლოს სამაუწყებლო ბადეში ჩასმული ნებისმიერი მედიაპროდუქტის (როგორც საკუთარი წარმოების, ისე შესყიდული კონტენტის) საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან, ასევე სალიცენზიო პირობებთან და ვადებთან შესაბამისობა.

4.3.1. სამსახურის უფროსის მოადგილე განვითარების საკითხებში უფლებამოსილია:

ა) უხელმძღვანელოს მედიაპროდუქტის მიღება-ჩაბარების სპეციალურ კომისიას ან სამუშაო ჯგუფს და მიიღოს გადაწყვეტილება კონტენტის დამტკიცების ან ხარვეზების გამოსასწორებლად დაბრუნების თაობაზე;
ბ) საავტორო უფლებების ან სალიცენზიო პირობების დარღვევის (ან რისკის არსებობის) შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესაბამისი კონტენტის სამაუწყებლო ბადიდან ამოღება ან მისი ეთერში გასვლის შეჩერება;
გ) გამოითხოვოს სამსახურის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისგან, ბლოკისა და ჯგუფისგან აუცილებელი მონაცემები, ანგარიშები და ინფორმაცია მიმდინარე ტექნიკური თუ შემოქმედებითი საჭიროებების შესახებ;
დ) წარადგინოს დასაბუთებული წინადადებები და პროექტები სამსახურის უფროსისა და მენეჯმენტის წინაშე სამაუწყებლო ბადეში ცვლილებების შეტანის, ახალი გადაცემების დამატების ან არარენტაბელური პროექტების დახურვის შესახებ;
ე) მოითხოვოს წარმოების მოდერნიზაცია, ტექნიკური ბაზის განახლება და ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა, რაც აუცილებელია სამაუწყებლო ბადის ხარისხიანი კონტენტით შევსებისთვის.

4.4. სამსახურის უფროსის მოადგილე მიმდინარე მაუწყებლობის საკითხებში ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ყოველდღიური სატელევიზიო და რადიო საეთერო სიგნალის უწყვეტობა, სტაბილურობა და მაუწყებლობის უსაფრთხოება.
ბ) მართოს საეთერო კრიზისები, ტექნიკური ფორსმაჟორები და ავარიული სიტუაციები, საეთერო ხაზის დაუყოვნებლივი აღდგენისა და შეფერხებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;
გ) გაუწიოს კოორდინაცია და მონიტორინგი საეთერო რეჟისორების, საეთერო ბლოკის ტექნიკური პერსონალისა და მიმდინარე მაუწყებლობაზე პასუხისმგებელი მორიგე ჯგუფების მუშაობას;
დ) გაუწიოს ზედამხედველობა პირდაპირი საეთერო ჩართვების, სპეციალური გამოშვებებისა და გარე ტრანსლაციების (მოძრავი სატელევიზიო სადგურების – მსს) ტექნიკურ და საოპერაციო მზადყოფნას.

4.4.1.სამსახურის უფროსის მოადგილე მიმდინარე მაუწყებლობის საკითხებში უფლებამოსილია:
ა) საეთერო აუცილებლობის, ტექნიკური ავარიის ან ფორსმაჟორის დროს **მიიღოს** დამოუკიდებელი, ოპერატიული გადაწყვეტილება სარეზერვო ტექნიკური ხაზების, ალტერნატიული სიგნალის ან საავარიო რეჟიმების ჩართვის შესახებ;
ბ) ტექნიკური და საინჟინრო სამსახურებისგან გამოითხოვოს ყოველდღიური ანგარიშები აპარატურის მდგომარეობის, ხარვეზებისა და სამაუწყებლო ინფრასტრუქტურის მზადყოფნის თაობაზე;
გ) მწვავე საეთერო კრიზისის ან გაუთვალისწინებელი მოვლენების დროს (სამსახურის უფროსთან და სარედაქციო მენეჯმენტთან შეთანხმებით) შეიტანოს ოპერატიული ცვლილებები მიმდინარე საეთერო გეგმაში;
დ) სამსახურის უფროსს წარუდგინოს დასაბუთებული წინადადებები, საეთერო ბლოკის მოდერნიზაციის, რეზერვირების სისტემების გაძლიერებისა და უახლესი საეთერო პროგრამების დანერგვის შესახებ.

<u>4.5. სატელევიზიო ბლოკი</u>
4.5.1. სატელევიზიო ბლოკის უფროსი ვალდებულია:

ა) უხელმძღვანელოს სატელევიზიო კონტენტის წარმოების, დაგეგმვისა და მომზადების მთლიან ციკლს და უზრუნველყოს სატელევიზიო გადაცემების დროული წარმოება;
ბ) კოორდინაცია გაუწიოს ბლოკში შემავალი შემოქმედებითი, საოპერაციო და ტექნიკური პერსონალის (პროდიუსერები, ოპერატორები, მემონტაჟეები და სხვა) საქმიანობას და უზრუნველყოს სამუშაო პროცესის ეფექტური ორგანიზება;
გ) განახორციელოს წარმოებული სატელევიზიო კონტენტის ხარისხობრივი კონტროლი და უზრუნველყოს მისი შესაბამისობა მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან, სარედაქციო სტანდარტებთან, ეთიკის კოდექსთან და სამაუწყებლო ბადის მოთხოვნებთან;
დ) განახორციელოს სატელევიზიო გადაცემების საწარმოო ბიუჯეტების, ადამიანური და მატერიალური რესურსების ხარჯვის მუდმივი მონიტორინგი და აკონტროლოს მათი მიზნობრივი გამოყენება.

4.5.2. სატელევიზიო ბლოკის უფროსი უფლებამოსილია:
ა) გასცეს სავალდებულო პროფესიული, შემოქმედებითი და სამუშაო მითითებები მის ბლოკში შემავალი შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალის მიმართ;
ბ) დამოუკიდებლად მართოს, განსაზღვროს და დაამტკიცოს სატელევიზიო წარმოების შიდა გრაფიკები, აგრეთვე შემოქმედებითი გუნდების მორიგეობისა და ცვლების განრიგი;
გ) დააწესოს და გააკონტროლოს სატელევიზიო პროდუქტების, ნედლი მასალებისა და მზა გადაცემების ჩაბარების შიდა ვადები;

4.5.3. სატელევიზიო წარმოების ჯგუფის უფროსი ვალდებულია:
ა) მართოს და ზედამხედველობა გაუწიოს სატელევიზიო გადაცემების, ფილმების, შოუებისა და სამივე პლატფორმისთვის (ტელევიზია, რადიო, ციფრული მედია) განკუთვნილი მედიაპროდუქტების უშუალო საწარმოო, ლოგისტიკურ და შემოქმედებით პროცესებს;
ბ) უზრუნველყოს სამივე პლატფორმის საპროდიუსერო მიმართულების ერთიანი კოორდინაცია, წარმართოს პროდიუსერების მუშაობა და განახორციელოს მედიაპროექტების ეფექტური ადმინისტრირება იდეიდან მზა პროდუქტის ჩაბარებამდე;
გ) დაგეგმოს საწარმოო და პოსტპროდაქშენის პროცესში ჩართული ტექნიკური და შემოქმედებითი პერსონალის (რეჟისორები, ოპერატორები, მემონტაჟეები, პროდიუსერები, ასისტენტები) სამუშაო გრაფიკები, ცვლები და გადასაღები ლოკაციების ლოგისტიკა;
დ) უზრუნველყოს საწარმოო პროცესში არსებული ტექნიკური, ადამიანური და მატერიალური რესურსების რაციონალური, მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენება.

4.5.4. სატელევიზიო წარმოების ჯგუფის უფროსი უფლებამოსილია:
ა) დადგენილი საწარმოო გეგმის შესაბამისად, დამოუკიდებლად გადაანაწილოს კონკრეტული დავალებები და სამუშაო მოცულობები რეჟისორებს, ოპერატორებს, მემონტაჟეებსა და სამივე პლატფორმის პროდიუსერებს შორის;
ბ) განსაზღვროს და მართოს გადასაღები პავილიონების, სტუდიების, სამონტაჟო ბლოკებისა და საწარმოო ტექნიკის (კამერები, განათება, ხმის აპარატურა) დატვირთვისა და სარგებლობის რიგითობა;

გ) მწვავე საწარმოო აუცილებლობის ან ფორსმაჟორის დროს (ბლოკის უფროსებთან შეთანხმებით) მოახდინოს ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოპერატიული გადაადგილება ან რეზერვირება;

4.5.5. სატელევიზიო პროგრამირებისა და განვითარების ჯგუფის უფროსი ვალდებულია:
ა) შეადგინოს სატელევიზიო სამაუწყებლო ბადე (გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში);
ბ) გააანალიზოს სამაუწყებლო ბადის ეფექტურობა და წარადგინოს განვითარების ახალი მოდელები.

4.5.6. სატელევიზიო პროგრამირებისა და განვითარების ჯგუფის უფროსი უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს წარმოების ჯგუფებისგან მზა პროდუქციის დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად ჩაბარება;
ბ) განსაზღვროს გადაცემების საეთერო დრო.

4.5.7. პირდაპირი ეთერისა და მთავარი სააპარატოს ჯგუფის უფროსი:
ა) ვალდებულია უზრუნველყოს ტელეარხის პირდაპირი საეთერო სიგნალის უწყვეტობა, სამაუწყებლო ხაზების (სატელიტი, ოპტიკა, IP) კონტროლი და მთავარი სააპარატოს მუშაობა;
ბ) ხარვეზის აღმოჩენისას უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გადართოს ეთერი სარეზერვო ხაზზე ან საავარიო კონტენტზე და მოსთხოვოს ტექნიკურ პერსონალს საეთერო პროტოკოლის მკაცრი დაცვა.

4.5.8. მედია პროდუქტების განთავსების სპეციალისტი
უზრუნველყოფს სატელევიზიო ბადის სამუშაო მართვას, კონტენტის ბადეში განთავსებას, განრიგთან შესაბამისობას და შესაბამის სამუშაო კოორდინაციას.

4.5.9. სამაუწყებლო რეჟისორი:
ა) ვალდებულია უზრუნველყოს მზა საეთერო ბადის მიხედვით ვიდეომასალების, ტიტრების, ანონსებისა და ლოგოების დროული და ზუსტი რეჟისურა პირდაპირ ეთერში (ეთერის გაყვანა);
ბ) უფლებამოსილია ტექნიკური ფორსმაჟორის დროს, ბადის კოორდინატორთან შეთანხმებით, ოპერატიულად შეცვალოს საეთერო ელემენტების მიმდევრობა.

4.5.10. სატელევიზიო ოპერატორი და საეთერო სისტემების ოპერატორი:
ა) ვალდებულია განახორციელოს მაღალხარისხიანი ვიდეოგადაღება სტუდიასა და გარე პერიმეტრზე მხატვრული სტანდარტების დაცვით, ხოლო საეთერო სისტემების ოპერატორის შემთხვევაში - მართოს ავტომატიზებული სამაუწყებლო სერვერები და შესაბამისი ტექნიკური სისტემები;
ბ) უფლებამოსილია მოითხოვოს სამუშაოდ გამართული ტექნიკური აპარატურა და უსაფრთხო შრომითი გარემო.

4.5.11. რეჟისორი და სტუდიის რეჟისორი:
ა) ვალდებულია უზრუნველყოს გადაცემის ან ფილმის საერთო მხატვრულ-შემოქმედებითი კონცეფცია და ვიზუალური გადაწყვეტა, ხოლო სტუდიის რეჟისორის შემთხვევაში - უშუალოდ მართოს მრავალკამერიანი გადაღების პროცესი სტუდიის პულტიდან, პირდაპირი ეთერისა თუ ჩაწერის დროს;

ბ) უფლებამოსილია საეთერო ხარისხის მისაღწევად მისცეს შემოქმედებითი და ტექნიკური მითითებები ოპერატორებს, გამნათებლებსა და წამყვანებს.

4.5.12. სტუდიებისა და მსს ჯგუფის უფროსი:
ა) ვალდებულია მართოს მაუწყებლის ყველა სტაციონალური სატელევიზიო სტუდია და მოძრავი სატელევიზიო სადგურები (მსს), ასევე უზრუნველყოს მათი მზადყოფნა მასშტაბური თუ გარე გადაღებებისთვის;
ბ) უფლებამოსილია სამსახურის უფროსთან შეთანხმებით განსაზღვროს მსს-ის გასვლისა და ლოგისტიკის პრიორიტეტულობა.

<u>4.6. რადიო ბლოკი:</u>

4.6.1. რადიო ბლოკის უფროსი ვალდებულია:
ა) უხელმძღვანელოს რადიო პროგრამების, პირდაპირი საეთერო გადაცემების, პოდკასტებისა და ნებისმიერი სახის აუდიოპროდუქციის წარმოებისა და ეთერში გაშვების პროცესს;
ბ) უზრუნველყოს რადიომაუწყებლობის სპეციფიკის, ფორმატისა და ჟანრობრივი მრავალფეროვნების დაცვა და განახორციელოს რადიო ეთერის ხარისხობრივი სტანდარტების მუდმივი კონტროლი;
გ) კოორდინაცია გაუწიოს და მართოს რადიოს შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალის (პროდიუსერები, წამყვანები, ხმის რეჟისორები, ხმის ოპერატორები) სამუშაო პროცესი.

4.6.2. რადიო ბლოკის უფროსი უფლებამოსილია:
ა) გასცეს სავალდებულო პროფესიული და ტექნიკური მითითებები რადიო ბლოკის თანამშრომელთა მიმართ საეთერო და საწარმოო პროცესის სრულყოფის მიზნით;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს და მართოს რადიო აპარატურის, ჩამწერი სტუდიებისა და სამონტაჟო ბლოკების დატვირთვისა და სარგებლობის გრაფიკი;
გ) დააწესოს მზა აუდიომასალების, პოდკასტებისა და საეთერო პროგრამების ჩაბარების მკაცრი შიდა ვადები;
დ) სამსახურის უფროსის წინაშე წარადგინოს წინადადებები რადიოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების, უახლესი ციფრული რადიო პროგრამებისა და აპარატურის დანერგვის შესახებ.
ე) რადიო ბლოკის უფროსი პერსონალურად არის პასუხისმგებელი რადიოს სამაუწყებლო ბადის გამართულ, სრულფასოვან და კანონმდებლობასთან შესაბამის ფორმირებაზე.

4.6.3. რადიო წარმოების ჯგუფის უფროსი
ა) კოორდინაციას უწევს და მართავს რადიოპროდუქტის (გადაცემები, რუბრიკები, საეთერო ელემენტები) მომზადების, ჩაწერის, მონტაჟისა და საბოლოო აუდიოფორმატების წარმოების სრულ ციკლს.
ბ) გეგმავს ჯგუფის წევრების (პროდიუსერები, ხმის რეჟისორები, წამყვანები და სხვა ტექნიკური პერსონალი) ყოველდღიურ და პერსპექტიულ სამუშაო განრიგს, ანაწილებს ფუნქციებს და აკონტროლებს დაკისრებული დავალებების შესრულების ვადებს.
გ) პასუხისმგებელია, წარმოებული რადიოპროდუქტის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან, მაუწყებლის ქცევის კოდექსსა და პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაზე.

დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს და ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგინოს ახალი რადიოპროექტების, გადაცემების ფორმატებისა და სამაუწყებლო ბადის ოპტიმიზაციის იდეები.

4.6.4. რადიო პროგრამირებისა და ეთერის მართვის ჯგუფის უფროსი:

ა) ვალდებულია უზრუნველყოს რადიო საეთერო ბადის სტრუქტურირება, მუსიკალური და თემატური ფლეილისტების ფორმირება და ეთერის ავტომატიზაციის სისტემების გამართულობა;

ბ) ფორსმაჟორის ან საგანგებო ჩართვების დროს უფლებამოსილია შეიტანოს ოპერატიული ცვლილებები რადიოეთერის მიმდინარეობაში.

<u>4.7. ციფრული პლატფორმებისა და ახალი მედიის ბლოკი:</u>

4.7.1. ციფრული პლატფორმებისა და ახალი მედიის ბლოკის უფროსი ვალდებულია:

ა) უხელმძღვანელოს მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდის და სოციალური ქსელების (Facebook, YouTube, TikTok, Instagram და სხვა) ერთიანი კონტენტ-სტრატეგიას, განვითარების გეგმებსა და მულტიმედიურ წარმოებას;

ბ) მართოს ციფრული პლატფორმებისთვის ექსკლუზიური, სპეციფიკური და ინოვაციური მედიაპროდუქტების (ვებ-სტატიები, ვიდეობლოგები, მოკლე ფორმატის ვიდეოები, პოდკასტები და მულტიმედიური სიუჟეტები) შექმნისა და გამოქვეყნების პროცესი;

გ) კოორდინაცია გაუწიოს ბლოკში შემავალი შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალის საქმიანობას და უზრუნველყოს სამუშაო პროცესის ეფექტური ორგანიზება;

დ) განახორციელოს ციფრული პლატფორმების მუშაობის მუდმივი მონიტორინგი და გააანალიზოს აუდიტორიის ჩართულობის, რეიტინგებისა და სტატისტიკური მონაცემები კონტენტის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად;

ე) მკაცრად გააკონტროლოს გამოქვეყნებული მულტიმედიური კონტენტის ხარისხი, ვიზუალური სტანდარტები, საავტორო უფლებები და მაუწყებლის ეთიკის კოდექსის ნორმების დაცვა;

ვ) კოორდინაცია გაუწიოს შესაბამის ტექნიკურ სამსახურებს ინტერნეტსივრცეში კიბერუსაფრთხოების, პლატფორმების გამართული ტექნიკური ფუნქციონირებისა და ხარვეზების დროული აღმოფხვრის მიზნით.

4.7.2. ციფრული პლატფორმებისა და ახალი მედიის ბლოკის უფროსი უფლებამოსილია:

ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს და მართოს ციფრული პროდუქტების, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების ვიზუალური კონცეფცია, ინტერფეისი და სარეკლამო/კომერციული კონტენტის ციფრულ სივრცეში ფუნქციური განლაგება;

ბ) მოითხოვოს ტელე და რადიო ბლოკებისგან საეთერო მასალების, სიუჟეტებისა და გადაცემების ოპერატიული მიწოდება და მათი სპეციფიკური ადაპტირება (ტრანსფორმაცია) ინტერნეტსივრცეში გამოსაქვეყნებლად;

გ) დააწესოს ციფრული კონტენტის მომზადების, ვებ-გვერდზე ატვირთვისა და სოციალურ ქსელებში გაზიარების მკაცრი შიდა ვადები საინფორმაციო ნაკადის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

4.7.3 სოციალური მედიის ჯგუფის უფროსი

ა) ხელმძღვანელობს, გეგმავს და კოორდინაციას უწევს სოციალური მედიის ჯგუფის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობას, ანაწილებს დავალებებს თანამშრომლებს შორის და აკონტროლებს მათ შესრულებას.
ბ) შეიმუშავებს და ახორციელებს მაუწყებლის სოციალური მედიის (Facebook, Instagram, TikTok, YouTube, Telegram და სხვა) განვითარების ერთიან სტრატეგიას და ადგენს კონტენტ-გეგმებს.
გ) უზრუნველყოფს სოციალურ ქსელებში გამოსაქვეყნებელი მასალების (ტექსტები, ვიზუალები, ვიდეოები) მაღალ ხარისხს, ოპერატიულობას და მათ სრულ შესაბამისობას მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკასთან, ეთიკის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.
დ) რეგულარულად აანალიზებს სოციალური ქსელების სტატისტიკურ მონაცემებს, ციფრული კამპანიების ეფექტიანობას და პერიოდულად წარუდგენს ანგარიშებსა და რეკომენდაციებს ხელმძღვანელობას.
ე) უფლებამოსილია მედიაწარმოების სხვა შემოქმედებითი და ტექნიკური ერთეულებისგან ოპერატიულად მოითხოვოს სოციალური მედიისთვის საჭირო ნედლი მასალები, სიუჟეტები, გადაცემების ჩანაწერები თუ ანონსები.

4.7.4. ციფრული პლატფორმების სპეციალისტი:
ა) უზრუნველყოფს ტელე, რადიო და სხვა მედიაკონტენტის (სტატიები, ვიდეოები, პოდკასტები, საინფორმაციო ზოლი) დროულ, ოპერატიულ განთავსებასა და ტექნიკურ მართვას მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ციფრულ პლატფორმებზე.
ბ) ახორციელებს საეთერო და სარედაქციო მასალების ფორმატულ, ვიზუალურ და სტრუქტურულ ტრანსფორმაციას/ადაპტაციას ინტერნეტ-სივრცის სპეციფიკის და ციფრული პლატფორმების მოთხოვნების შესაბამისად.
გ) უფლებამოსილია ხელმძღვანელობასა და სარედაქციო გუნდს წარუდგინოს ინოვაციური წინადადებები, პროექტები და იდეები ინტერნეტ-მომხმარებლების, ონლაინ-აუდიტორიის ჩართულობისა და ვებ-გვერდის/აპლიკაციების პოპულარიზაციის გასაზრდელად.

<u>4.8. სამსახურის შემადგენლობაში ფუნქციონირებად სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფები:</u>

4.8.1 უდიტორიის განვითარებისა და კომუნიკაციის ჯგუფის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები:
ა) მაუწყებლის ბრენდის პოზიციონირების, იმიჯის ფორმირებისა და პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება.
ბ) ტელე-რადიო გადაცემების, დოკუმენტური ფილმებისა და ვებ კონტენტის საიმიჯო, პრომო და სარეკლამო კამპანიების დაგეგმვა და მართვა.
გ) რეიტინგების, მაყურებელთა/მსმენელთა მოთხოვნებისა და ახალი მედია პლატფორმების ტენდენციების მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი.
დ) კომერციული და სოციალური რეკლამების განთავსების პროცესის კოორდინაცია, სპონსორებთან და პარტნიორებთან ურთიერთობა.
ე) სოციალურ ქსელებსა და ვებ პლატფორმებზე (Facebook, YouTube, ვებგვერდი და სხვა) მაუწყებლის კონტენტის გავრცელების ხელშეწყობა და ციფრული მარკეტინგული აქტივობების წარმოება.
ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) კამპანიების, პრესრელიზების, პრეზენტაციებისა და სხვადასხვა საჯარო თუ შიდა კორპორაციული ღონისძიებების ორგანიზება.

4.8.1.2 აუდიტორიის განვითარებისა და კომუნიკაციის ჯგუფის უფლებამოსილებები:
ა) მაუწყებლის სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მარკეტინგული კამპანიისთვის საჭირო მასალებისა და ინფორმაციის დროულად მიღება.
ბ) მაუწყებლის ხელმძღვანელობისთვის ახალი საეთერო ბადის, გადაცემების ფორმატების ცვლილებისა და საიმიჯო რებრენდინგის შესახებ წინადადებების წარდგენა.
გ) გარე კონტრაქტორებთან, სარეკლამო სააგენტოებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4.8.1.3. უდიტორიის განვითარებისა და კომუნიკაციის ჯგუფის უფროსი

ა) ხელმძღვანელობს, გეგმავს და კოორდინაციას უწევს აუდიტორიის მონაცემების ანალიზთან, უკუკავშირთან, საზოგადოებრივ კომუნიკაციასა და მაუწყებლის ბრენდის განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა მიმდინარე პროცესს.
ბ) უზრუნველყოფს ტელე, რადიო და ციფრული (ვებ/სოციალური მედია) აუდიტორიის ქცევის, რეიტინგების, ინტერესებისა და დემოგრაფიული მონაცემების მუდმივ მონიტორინგს, ანალიზსა და შესაბამისი ანგარიშების მომზადებას.
გ) კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, აწვდის პერიოდულ რეკომენდაციებს მედიაწარმოების სამსახურსა და საპროგრამო ბლოკებს კონტენტის ხარისხის, ფორმატისა და სამაუწყებლო ბადის ოპტიმიზაციის მიზნით.
დ) უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს კვლევებისთვის საჭირო ნებისმიერი სტატისტიკური თუ პროგრამული ინფორმაცია მაუწყებლის ყველა სტრუქტურული ერთეულისგან.
ე) უფლებამოსილია, კომპეტენციის ფარგლებში, აწარმოოს მოლაპარაკებები სარეიტინგო, საკვლევ და მარკეტინგულ კომპანიებთან, აკონტროლოს მათ მიერ მოწოდებული სერვისების ხარისხი.
4.8.1.4. ბრენდმენეჯერი ვალდებულია:
ა) შეიმუშაოს და მართოს მაუწყებლის (ტელევიზიის, რადიოსა და ციფრული პლატფორმების), აგრეთვე კონკრეტული მედიაპროდუქტებისა და გადაცემების ბრენდინგი, იმიჯი და მარკეტინგული სტრატეგია;
ბ) კოორდინაცია გაუწიოს არხის ერთიანი ვიზუალური სტილის, გრაფიკული პაკეტების, პრომო-კამპანიებისა და საიმიჯო რგოლების შექმნის პროცესს და გააკონტროლოს მათი შესაბამისობა ბრენდის კონცეფციასთან;
გ) უზრუნველყოს მედიაპროდუქტების პოზიციონირება სამივე პლატფორმაზე, გააანალიზოს მიზნობრივი აუდიტორიის კვლევები და დაგეგმოს რეიტინგების გაზრდისკენ მიმართული აქტივობები;
დ) შეიმუშაოს და მოაწყოს მაუწყებლის სოციალური პასუხისმგებლობის, საქველმოქმედო და საზოგადოებრივი კამპანიები და მართოს მათი საზოგადოებასთან კომუნიკაცია;
ე) დაიცვას მაუწყებლის გარე იმიჯი, განახორციელოს საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგი და უზრუნველყოს ბრენდის რეპუტაციული რისკების პრევენცია ან კრიზისულ სიტუაციებზე მარკეტინგული რეაგირება.

4.8.1.5. ბრენდმენეჯერი უფლებამოსილია:

ა) წარადგინოს სავალდებულო მოთხოვნები და რეკომენდაციები ბლოკებისა და შემოქმედებითი ჯგუფების მიმართ გადაცემების ლოგოების, ტიტრების, სტუდიური დიზაინისა და პრომო-მასალების ბრენდბუქთან შესაბამისობის თაობაზე;
ბ) მიიღოს მონაწილეობა ახალი მედიაპროექტების, გადაცემებისა და ციფრული პლატფორმების შექმნის საწყის ეტაპზე, რათა განსაზღვროს მათი მარკეტინგული პოტენციალი და ვიზუალური იდენტობა;
გ) მოითხოვოს წარმოების ჯგუფებისგან (რეჟისორები, მემონტაჟეები, დიზაინერები) საპრომოო და საიმიჯო მასალების დამზადება დამტკიცებული მარკეტინგული გეგმის ვადების მიხედვით;
დ) წარადგინოს წინადადებები და ბიუჯეტის პროექტები სამსახურის უფროსის წინაშე გარე მარკეტინგული, სარეკლამო და პიარ (PR) კამპანიების დაფინანსებისა და განხორციელების შესახებ;
ე) დაამყაროს ოფიციალური პროფესიული კომუნიკაცია სხვა მედიასაშუალებებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და ფესტივალებთან მაუწყებლის ბრენდის პოპულარიზაციის მიზნით.

4.8.1.6. კომუნიკაციის სპეციალისტი:
ა)ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტორიასთან ინტერაქცია, სოციალური მედიის მარკეტინგი (SMM), პიარ-კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება, აგრეთვე კომერციული/სასპონსორო და სოციალური რეკლამების ეთერში განთავსების ორგანიზება, დაგეგმვა და კოორდინაცია.
ა) ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტორიასთან ინტერაქცია, სოციალური მედიის მარკეტინგი (SMM), პიარ-კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება, აგრეთვე კომერციული, სასპონსორო და სოციალური რეკლამების ეთერში განთავსების ორგანიზება, დაგეგმვა და კოორდინაცია;
ბ) უფლებამოსილია წარადგინოს წინადადებები ონლაინ-აუდიტორიის ჩართულობისა და მაუწყებლის სარეკლამო პოტენციალის გაზრდის მიზნით;
გ) მონაწილეობს რეკლამისა და სპონსორობის დამკვეთების მოზიდვის, მათთან ურთიერთობების განვითარებისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების პროცესში;
დ) უზრუნველყოფს რეკლამისა და სპონსორობის დამკვეთებთან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისი აქტივობების კოორდინაციას;
ე) მონაწილეობს საეთერო ბადის დაგეგმვაში რეკლამის ოპტიმალური განთავსების მიზნით და უზრუნველყოფს სარეკლამო კონტენტის მოქმედ კანონმდებლობასთან და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობას.

4.8.1.7. აუდიტორიის კვლევისა და მონაცემთა ანალიზის სპეციალისტი:

ა)ვალდებულია რეგულარულად აწარმოოს სატელევიზიო რეიტინგების (Peoplemeter-ის მონაცემები), რადიოს აუდიტორიისა და ციფრული სტატისტიკის სიღრმისეული ანალიზი;
ბ)ვალდებულია მოამზადოს ანგარიშები მენეჯმენტისთვის საეთერო ბადის ოპტიმიზაციის მიზნით;
ბ)უფლებამოსილია მოითხოვოს წვდომა მაუწყებლის ყველა გარე და შიდა სტატისტიკურ პლატფორმასა და კვლევის მონაცემზე.

4.8.2. არქივის ჯგუფი

4.8.2.1 არქივის ჯგუფის უფროსი და სამაუწყებლო არქივის სპეციალისტი:

ა)არქივის ჯგუფის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს მაუწყებლის ოქროს ფონდისა და ყოველდღიური საეთერო ვიდეო/აუდიო მასალის სისტემატიზაცია, ციფრულ ფორმატში გადაყვანა, კატალოგის შექმნა და საიმედო შენახვა;
ბ)სამაუწყებლო არქივის სპეციალისტი ვალდებულია უზრუნველყოს მაუწყებლის ოქროს ფონდისა და ყოველდღიური საეთერო ვიდეო/აუდიო მასალის სისტემატიზაცია, ციფრულ ფორმატში გადაყვანა, კატალოგის შექმნა და საიმედო შენახვა;
ბ) უფლებამოსილია მოსთხოვოს ნებისმიერ შემოქმედებით ჯგუფს ეთერში გასული გადაცემის სუფთა (საარქივო) ვერსიის დროული ჩაბარება დადგენილი წესით.

მუხლი 5. დოკუმენტური ფილმების სტუდიის უფლებამოსილებები და ძირითადი ფუნქციები
5.1.სტუდიის ძირითადი დანიშნულება და მოვალეობები:
ა)კინოწარმოების სრული ციკლი: ახორციელებს მაუწყებლის საავტორო, კვლევითი, ისტორიული, სოციალურ-კულტურული და შემეცნებითი დოკუმენტური ფილმების წარმოების სრულ ციკლს (სცენარზე მუშაობა, საარქივო კვლევა, გადაღება, მონტაჟი, გახმოვანება და პოსტ-პროდაქშენი);
ბ)ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტირება: უზრუნველყოფს აჭარის რეგიონისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების, კულტურული ფენომენებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ მაღალმხატვრული მედიაპროდუქტის შექმნას და მათ სამაუწყებლო ფორმატში მოყვანას;
გ)საავტორო უფლებების სამართლებრივი სიზუსტე: პასუხისმგებელია ფილმებში გამოყენებული ნებისმიერი მესამე პირის მასალის (მუსიკა, საარქივო ვიდეო/ფოტო, ციტატები) ლეგალურობაზე, ლიცენზირებასა და საავტორო უფლებების მკაცრ დაცვაზე მაუწყებლის იურისტთან კოორდინაციით;
დ)ფაქტობრივი და მეცნიერული სიზუსტე: უზრუნველყოფს ფილმებში წარმოდგენილი ისტორიული, მეცნიერული და დოკუმენტური ფაქტების აბსოლუტურ სიზუსტეს. სენსიტიურ თემებზე მუშაობისას ვალდებულია მოიწვიოს დარგის კომპეტენტური ექსპერტები, კონსულტანტები და დაეყრდნოს გადამოწმებულ აკადემიურ წყაროებს.
ე) საკონსულტაციო საბჭო: სტუდიის ბაზაზე იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრიც შეიძლება გახდეს როგორც მოქმედი თანამშრომელი, ისე მოწვეული სპეციალისტი. საკონსულტაციო საბჭო თავად განსაზღვრავს საკუთარი მუშაობის ფორმატს, რეგლამენტსა და პერიოდულობას.

5.2. სტუდია უფლებამოსილია:
ა)ისარგებლოს სრული შემოქმედებითი დამოუკიდებლობით ფილმების თემატიკის, რეჟისორული ხედვის, მხატვრული სტილისა და კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისას, მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნების დაცვით.
ბ)ჰქონდეს პრიორიტეტული წვდომა მაუწყებლის შიდა არქივზე; საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში, იშუამდგომლოს სახელმწიფო თუ კერძო არქივებიდან, მუზეუმებიდან და ბიბლიოთეკებიდან საჭირო დოკუმენტური მასალების გამოთხოვის მიზნით.
გ) მოსთხოვოს წარმოების კოორდინაციისა და სტუდიების ჯგუფს ფილმების გადამღები ექსპედიციებისთვის აუცილებელი სპეციალიზებული კინოტექნიკის (კამერა, ოპტიკა, განათება, ხმის ჩამწერი აპარატურა), სამონტაჟო რესურსებისა და სატრანსპორტო საშუალებების პრიორიტეტული გამოყოფა.

მუხლი 6. დოკუმენტური ფილმების სტუდიის უფროსის - სამხატვრო ხელმძღვანელი სამსახურებრივი სტატუსი, მოვალეობები და უფლებები
6.1.სტუდიის უფროსის - სამხატვრო ხელმძღვანელი ვალდებულია:
ა) წარმართოს და კოორდინაცია გაუწიოს სტუდიის შემოქმედებით, საწარმოო და ადმინისტრაციულ საქმიანობას; შეიმუშაოს დოკუმენტური ფილმების ყოველწლიური საწარმოო გეგმა; პასუხისმგებელია ფილმების დადგენილ ვადებში დასრულებაზე;
ბ)უზრუნველყოს ფილმების ბიუჯეტირების, შემოქმედებითი ჯგუფების დაკომპლექტებისა და ხარჯვის პროცესის აბსოლუტური გამჭვირვალობა; წერილობით განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ფილმის წარმოების პროცესში, ოჯახის წევრის ან მასთან დაკავშირებული ფინანსური სუბიექტის ჩართულობის შემთხვევაში;
გ) ზედამხედველობა გაუწიოს ფილმების წარმოების მიმდინარეობას სცენარის დამტკიცებიდან საბოლოო მონტაჟამდე; ჩაატაროს შიდა სარედაქციო და ტექნიკური ფილტრაცია, რათა ეთერში არ მოხვდეს დაბალი მხატვრული ღირებულების, ტენდენციური ან საავტორო უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტი;
დ) მჭიდროდ ითანამშრომლოს პროგრამირების ჯგუფთან ფილმების საეთერო პრემიერების დაგეგმვის მიზნით, ხოლო ციფრული პლატფორმების ბლოკთან – ფილმების ინტერნეტსივრცეში სწორი მარკეტინგული განთავსების უზრუნველსაყოფად.

6.2. სტუდიის უფროსის - სამხატვრო ხელმძღვანელი უფლებამოსილია:
ა)წარმართოს სტუდიის საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება წარმოდგენილი საავტორო იდეების, სინოფსისებისა და სცენარების წარმოებაში ჩაშვების ან უარყოფის შესახებ, წინასწარ განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე;
ბ)უფლებამოსილია, შემოქმედებით გუნდთან (რეჟისორთან, პროდიუსერთან) კონსულტაციის საფუძველზე, დროებით შეაჩეროს ან გადასამუშავებლად დააბრუნოს ფილმი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური ფაქტებით დასტურდება, რომ მასალაში ირღვევა მაუწყებლის ქცევის კოდექსი, საავტორო უფლებები ან არსებობს უხეში ტექნიკურ-მხატვრული წუნი. მასალის შეჩერების შემთხვევაში იგი ვალდებულია რეჟისორს წარუდგინოს მკაფიო, წერილობითი პროფესიული არგუმენტაცია, რაც გამორიცხავს სუბიექტურ დიქტატს;
გ)წარუდგინოს დასაბუთებული წინადადებები სამსახურის უფროსს კონკრეტული ფილმებისთვის მოწვეული სპეციალისტების (კონსულტანტები, გახმოვანების მსახიობები, კომპოზიტორები, ანიმატორები და სხვა) ჰონორარული ანაზღაურების, აგრეთვე სტუდიის თანამშრომელთა წახალისებისა თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, მხოლოდ გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე;
დ) წარმოადგინოს სტუდია კინოფესტივალებზე, მედიაფორუმებზე, კინობაზრობებსა და საერთაშორისო კო-პროდაქშენის (ერთობლივი წარმოების) მოლაპარაკებებზე მაუწყებლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

მუხლი 7. მედიაპროდუქტის შემოქმედებითი, სარედაქციო და ტექნიკური შემადგენლობა
7.1. წარმოების კოორდინატორი:

ა) ვალდებულია განახორციელოს სატრანსპორტო, ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოპტიმალური ლოგისტიკური განაწილება მიმდინარე გადაღებებისა და წარმოების პროცესში;
ბ) უფლებამოსილია, რესურსებზე პარალელური მოთხოვნების დეფიციტის შემთხვევაში წარადგინოს წინადადება მათი ოპტიმიზაციის შესახებ.

7.2. მეტყველების პედაგოგი
ა) გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობებს წამყვანების, ჟურნალისტებისა და საეთერო პერსონალისთვის მეტყველების კულტურის, ორთოეპიის ნორმებისა და ლიტერატურული ქართული ენის სტანდარტების დასაცავად;
ბ) რეგულარულად თვალს ადევნებს/უსმენს მაუწყებლის ეთერს, ახდენს დაშვებული შეცდომების (სტილისტური, ფონეტიკური, აქცენტოლოგიური) ანალიზს და ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს მათ გამოსასწორებლად;
გ) უფლებამოსილია მისცეს პროფესიული მითითებები და რეკომენდაციები საეთერო პერსონალს მეტყველების ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით;
დ) უფლებამოსილია, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მონაწილეობა მიიღოს ახალი წამყვანებისა და ჟურნალისტების შერჩევის (კასტინგის) პროცესში და შეაფასოს მათი საეთერო მონაცემები.

7.3. ინჟინერ-ტექნიკოსი
ა) უზრუნველყოფს სატელევიზიო, საეთერო-სარეჟისორო და პოსტ-პროდაქშენ (სამონტაჟო) კომპლექსების აპარატურულ-პროგრამული სისტემების გამართვას, დაკალიბრებასა და მუდმივ საინჟინრო მონიტორინგს.
ბ) ახორციელებს ტექნიკური მოწყობილობებისა და ციფრული ქსელების პერიოდულ პროფილაქტიკურ შემოწმებას, სისტემური ხარვეზების სიღრმისეულ დიაგნოსტიკას.
გ) პასუხისმგებელია პირდაპირი ტრანსლაციების, სტუდიური ჩანაწერებისა და ინტერნეტ-სტრიმინგის საინჟინრო უსაფრთხოებაზე; ფორსმაჟორულ სიტუაციებში უზრუნველყოფს სისტემის მყისიერ გადართვას სარეზერვო ხაზებზე.
დ) კოორდინაციას უწევს ტექნიკოსების მუშაობას, აძლევს მათ კვალიფიციურ საინჟინრო მითითებებს და აკონტროლებს მათ მიერ აპარატურის ექსპლუატაციის წესების დაცვას.

7.4. ტექნიკოსი
ა) უზრუნველყოფს მედიაწარმოების, საეთერო და პოსტ-პროდაქშენ პროცესების შეუფერხებელ ტექნიკურ მხარდაჭერასა და მიმდინარე საწარმოო დავალებების კვალიფიციურ შესრულებას.
ბ) ახორციელებს სტუდიური, გადასაღები, ხმის ჩამწერი და სამონტაჟო ტექნიკური აღჭურვილობის, ასევე დამხმარე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულ ექსპლუატაციას, ზედამხედველობასა და პირველად კონტროლს.

7.5. რედაქტორი
ა) უზრუნველყოფს რადიო, აუდიო ან სხვა შესაბამისი მედიაპროდუქტის შინაარსობრივ, სტილისტურ, გრამატიკულ და ორთოგრაფიულ რედაქტირებას საეთეროდ ან ციფრულ პლატფორმებზე განსათავსებლად.
ბ) პასუხისმგებელია, სარედაქციო მასალის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის

კოდექსთან, ჟურნალისტურ ეთიკასა და მიუკერძოებლობის პრინციპებთან სრულად შესაბამისობაზე.

7.6. პროდიუსერი:

ა) ვალდებულია განახორციელოს გადაცემებისა თუ მედიაპროექტების ყოველდღიური საპროდიუსერო უზრუნველყოფა (თემების, სტუმრების, ლოკაციების მოძიება და ორგანიზება);
ბ) უფლებამოსილია მოსთხოვოს შემოქმედებით და ტექნიკურ პერსონალს საწარმოო გრაფიკებისა და ვადების მკაცრი დაცვა.

7.7. წამყვანი

ა) მიჰყავს ტელე, რადიო ან/და ვებ-გადაცემა (პოდკასტი), პირდაპირი ეთერი, სპეციალური გამოშვება და ინტერვიუ წინასწარ დამტკიცებული კონცეფციის, ფორმატისა და სცენარის შესაბამისად.
ბ) აქტიურად მონაწილეობს გადაცემის საეთერო და პოსტ-პროდაქშენ მომზადების პროცესში, მუშაობს სცენარზე, საეთერო ტექსტებზე, ეცნობა თემებს, მონაწილეობს სარედაქციო თათბირებსა და შემოქმედებით რეპეტიციებში.
გ) მონაწილეობს გადაცემის სტუმრებისა და რესპონდენტების შერჩევაში, ამზადებს ინტერვიუს კითხვებს და უზრუნველყოფს სტუდიასა თუ დისტანციურ ჩართვებში დიალოგის კორექტულად და პროფესიულად წარმართვას.
დ) ვალდებულია ეთერში მუშაობისას მკაცრად დაიცვას „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, დაიცვას ბალანსი, პლურალიზმი, სარედაქციო დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
ე) უფლებამოსილია წარადგინოს იდეები, წინადადებები და შემოქმედებითი ინიციატივები გადაცემის ფორმატის, თემატიკის, რუბრიკებისა და მოწვეული სტუმრების სიის გამრავალფეროვნების მიზნით.

7.8. ხმის რეჟისორი და ხმის ოპერატორი.

ა) უზრუნველყოფს ტელე, რადიო ან/და ციფრული (ვებ) მედიაპროდუქტის ხმის უმაღლეს ხარისხს, აუდიოსიგნალის სტაბილურობას, პირდაპირი ეთერებისა თუ გასვლითი გადაღებების ხმის ჩაწერას, მონტაჟს, გაციფრულებას, ბალანსირებასა და შემდგომ კომპლექსურ აუდიოდამუშავებას (პოსტ-პროდაქშენს) დადგენილი ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოფს სატელევიზიო და რადიო საეთერო/სარეჟისორო პულტების, ხმის ჩამწერი აპარატურის, მიკროფონებისა და სხვა სპეციალიზებული აუდიოტექნიკის გამართულ, უსაფრთხო და ოპერატიულ ტექნიკურ ოპერირებასა და მართვას როგორც სტუდიური მუშაობის, ისე პირდაპირი ტრანსლაციების მსვლელობისას.
გ) მონაწილეობს მედიაპროდუქტის ხმოვანი კონცეფციისა და მხატვრული გაფორმების (მუსიკალური გაფორმება, ხმოვანი ეფექტები, ხმაურები) შექმნაში, გადაცემის ან სიუჟეტის შემოქმედებითი ჩანაფიქრის შესაბამისად.

7.9. გრაფიკოს-მემონტაჟე/დიზაინერი:

ა) ვალდებულია შექმნას საეთერო ანიმაციები, 3D ვიზუალიზაცია, შაფები და ტიტრები არხის ბრენდბუქის შესაბამისად;
ბ) უფლებამოსილია მოსთხოვოს რედაქტორებსა და პროდიუსერებს მასალების (ტექსტები, სუფთა ვიდეო) წინასწარ, დადგენილ ვადებში მიწოდება.

გ) მონაწილეობს მაუწყებლის, საეთერო არხების, ახალი გადაცემებისა და პროექტების ერთიანი ვიზუალური იდენტობის (ლოგოები, ბრენდბუქი, კორპორატიული სტილი) შემუშავებასა და დანერგვაში.
დ) შეიმუშავებს სატელევიზიო ეთერისთვის განკუთვნილი გრაფიკული ელემენტების, საინფორმაციო დაფების, ტიტრების, სტუდიური ვირტუალური დეკორაციებისა და გარე/შიდა სარეკლამო ბანერების პირველად დიზაინ-კონცეფციას.
ე) უფლებამოსილია წარადგინოს ახალი იდეები, დიზაინ-ტენდენციები და ინოვაციური ხედვები მაუწყებლის ვიზუალური იმიჯისა და გაფორმების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ვ) უფლებამოსილია მოითხოვოს შემოქმედებითი გუნდისგან მკაფიო, წერილობითი ტექნიკური დავალება და დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ხარისხიანი დიზაინის შესაქმნელად.

7.10. ოპერატორ-მემონტაჟე
ა) ახორციელებს მაღალხარისხიან ვიდეო და აუდიო გადაღებებს (როგორც სტუდიურ, ისე საველე პირობებში) სპეციალურად ციფრული პლატფორმების, ვებ-გვერდისა და სატელევიზიო ეთერის სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.
ბ) უზრუნველყოფს გადაღებული ან/და მოწოდებული ნედლი მასალის ოპერატიულ, სწრაფ და ხარისხიან მონტაჟს, წინასწარ განსაზღვრული სარედაქციო ფორმატის შესაბამისად.
გ) მჭიდროდ თანამშრომლობს პროდიუსერებთან, რედაქტორებთან, ჟურნალისტებთან და სოციალური მედიის მენეჯერებთან ვიდეოკონტენტის შემოქმედებითი ჩანაფიქრის ზუსტად გადმოსაცემად.

7.11. მემონტაჟე
ა) ვალდებულია განახორციელოს ვიდეომასალის კომპიუტერული მონტაჟი სარეჟისორო გეგმის მიხედვით;
ბ) უფლებამოსილია მოსთხოვოს რედაქტორებსა და პროდიუსერებს მასალების (ტექსტები, სუფთა ვიდეო) წინასწარ, დადგენილ ვადებში მიწოდება.

7.12. სტილისტ-ვიზაჟისტი, მხატვარი, სცენის დეკორატორი, გამნათებელი და გარდერობის ზედამხედველი:
ა) ვალდებულია ერთობლივად უზრუნველყოს არხის ეთერისა და წამყვანების/სტუმრების ვიზუალური, ესთეტიკური და მხატვრული იერსახე (მაკიაჟი, ტანსაცმლის სტილი, სტუდიის დეკორაცია, სცენოგრაფია და მხატვრული განათება);
ბ) უფლებამოსილია მოითხოვონ გადაცემის კონცეფციის წინასწარ გაცნობა შესაბამისი ვიზუალური სტილისა და განათების სქემის შესამუშავებლად.

7.13. თარჯიმან-დაქტილოგი:
ა) ვალდებულია უზრუნველყოს საინფორმაციო და მიმდინარე პროგრამების სურდოთარგმანი (ჟესტების ენა) შშმ პირთა ხელმისაწვდომობისთვის;
ბ) თარჯიმან-დაქტილოლოგი უფლებამოსილია მოითხოვოს საეთერო ტექსტების წინასწარი გაცნობა ზუსტი სურდოთარგმანის მოსამზადებლად.

7.14. კორესპონდენტი

ა) გეგმავს, იკვლევს და ამზადებს შემეცნებით, გასართობ, დოკუმენტურ, სოციალური ხასიათის გადაცემებს, რუბრიკებს, სპეციალურ პროექტებსა და პოდკასტებს ტელევიზიის, რადიოსა და ციფრული პლატფორმებისთვის.

ბ) დამოუკიდებლად მუშაობს გრძელვადიან თემებზე, ახორციელებს სიღრმისეულ კვლევას, წერს გადაცემებისა და რუბრიკების სრულ სცენარებს და აქტიურად მონაწილეობს მათი სამონტაჟო გეგმის შემუშავებაში.

გ) ახორციელებს გადაცემის თემატიკის შესაბამისი სტუმრების, ექსპერტებისა და პერსონაჟების შერჩევას, ამზადებს ვრცელ ინტერვიუებს და უზრუნველყოფს მათთან წინასწარ, სიღრმისეულ პროფესიულ კომუნიკაციას.

დ) მჭიდროდ თანამშრომლობს პროდიუსერებთან, რედაქტორებთან, რეჟისორებთან, ოპერატორებთან და მემონტაჟეებთან მედიაპროდუქტის ერთიანი შემოქმედებითი ჩანაფიქრის სრულყოფილად განსახორციელებლად.

7.15. სპეციალისტი:

ა) ვალდებულია სამსახურის, ბლოკის ან ჯგუფის უფროსის მითითებით შეასრულოს ნებისმიერი სახის დამხმარე, ადმინისტრაციული, საორგანიზაციო ან/და საოპერაციო დავალება, რომელიც დაკავშირებულია ტელე, რადიო და ვებ-კონტენტის წარმოების, დაგეგმვის, კოორდინაციისა თუ საეთერო/ონლაინ გავრცელების მიმდინარე პროცესებთან;

ბ) უფლებამოსილია, დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად და ოპერატიულად შესრულების მიზნით, ისარგებლოს მაუწყებლის ბალანსზე არსებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, საინფორმაციო ბაზებით, პროგრამული უზრუნველყოფითა და სამუშაო ინფრასტრუქტურით;

გ) პასუხისმგებელია დაკისრებული დავალებების ხარისხიანად და დადგენილ ვადებში შესრულებაზე, მინდობილი მატერიალური ფასეულობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე, შრომის დისციპლინისა და მაუწყებლის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა მკაცრ დაცვაზე.

მუხლი 8. სამუშაო დისციპლინა, პასუხისმგებლობა და დასკვნითი დებულებები

8.1.სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლის შინაგანაწესი, შრომის უსაფრთხოების ნორმები და საეთერო გრაფიკები.
8.2.ამ დებულების, მაუწყებლის ქცევის კოდექსის ან ინტერესთა კონფლიქტის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას მოქმედი შრომის კანონმდებლობის, შინაგანაწესისა და მაუწყებლის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
8.3. დასაქმებულთა ფუნქციები და მოვალეობები დეტალურად განისაზღვრება სამუშაო აღწერილობითა და შრომითი ხელშეკრულებით.
8.4.დებულება ძალაში შედის მაუწყებლის დირექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცების დღიდან.